თანხმობა

მე თამარ ეგაძე (პN 01008003550) თანახმა ვარ მასზედ რომ, ჩემს საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (1/კ 01.14.08.001.126 მის: ქ.თბილისი, ბაგები, სატყეო უბანი) მიჯნაზე მდებარე ტერიტორიაზე (1/კ 01.14.02.001.144) მშენებარე შენობას გაუკეთდეს ღიობები და ღია ტერასები, რომლებიც გახსნილი იქნება ჩემი ტერიტორიისკენ.

თამარ ეგაძე

18.02.2014

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140139933
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.02.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	რუსუდან ფიფია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2223678
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	04821655134614

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო, ქ. თბილისი

ორი ათას თოთხმეტი წლის თვრამეტი თებერვალი

მე, ნოტარიუსი რუსუდან ფიფია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №10-ში, ვამოწმებ 2014 წლის თვრამეტ თებერვალს შედგენილ თანხმობაზე **თამარ ეგაძის** (დაბადებული 15. 05. 1957 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N54, ბინა N30, პირადი №01008003550), ხელმოწერის სინამდვილეს, რომელიც შესრულებულია ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით.

დავადგინე თამარ ეგაძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემოწმებისას მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე, ნოტარიუსი რუსუდან ფიფია თანხმობაზე ვამოწმებ თანხმობაზე ხელმომწერი პირის მხოლოდ ხელმოწერის სინამდვილეს და არა თანხმობის შინაარსს, მის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

თამარ ეგაძის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმდა თანხმობის სამ ეგზემპლარზე.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის ოცდაცხრა დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გადახდილია საზღაური 6 ლარი + საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ 1.08 ლარი + ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), სულ 9.08 ლარი.

ნოტარიუსი /რუსუდან ფიფია/